კანდიდატის თანხმობა ინფორმაციის მოძიებაზე/გადამოწმებაზე
და გასაჯაროებაზე

კვალიფიკაცია, კომპეტენცია, პირადი და პროფესიული კეთილსინდისიერება

ვაღიარებ და ვადასტურებ, რომ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წარმომადგენელებს უფლება აქვთ გადაამოწმონ კანდიდატის თაობაზე ჩემი განცხადებით წარდგენილი ინფორმაციისა და სხვა დოკუმენტაციის სიზუსტე და სისრულე.

ვეთანხმები და ვადასტურებ, რომ საბჭოს გააჩნია ჩემი კეთილსინდისიერებისა და პროფესიული კვალიფიკაციის სრულყოფილი გამოკვლევის ვალდებულება ჩემი პირადი და პროფესიული ღირსების პატივისცემის დაცვით. ვეთანხმები და ვადასტურებ, რომ ასეთი გამოკვლევის განხორციელებისას, საბჭოს წარმომადგენლები შეიძლება დაუკავშირდნენ და გაესაუბრონ სხვადასხვა პირებს, მათ შორის, ყოფილ და ამჟამინდელ კოლეგებსა და თანამშრომლებს, დამქირავებლებს, ყოფილ და ამჟამინდელ სამუშაო ხელმძღვანელებს, საბანკო დაწესებულებებს, სხვა საფინანსო ინსტიტუტებს, სახელისუფლო დაწესებულებებისა და დისციპლინური ორგანოების აპარატის მოხელეებს, სამართლის პედაგოგებსა და სხვა პირებს, რომლებიც სხვადასხვა დროს მუშაობდნენ ამა თუ იმ ინსტიტუტებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, რომლებიც მოხსენიებული მაქვს წინამდებარე განცხადებაში, ასევე გამოითხოვონ ჩემი ფინანსური მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია იმ სამეწარმეო სუბიექტისგან, რომელიც საქმიანობს საკრედიტო ინფორმაციის სფეროში.

ვეთანხმები და ვადასტურებ, რომ საბჭოს წარმომადგენლებს შეუძლიათ ინფორმაციის მოძიებისას ნებისმიერ პირთან დაკავშირება ან/და ინფორმაციის გამოთხოვა.

მე სახელდებით ვაძლევ საბჭოს და მისი სახელით მოქმედ კომპეტენტურ პირებს ნებართვას, დაუკავშირდნენ და ინტერვიუ ჩამოართვან ყველა იმ პირს, რომლებიც საბჭოს შესაბამისად მიაჩნია ჩემი კვალიფიკაციის, კომპეტენციისა და პატიოსნების გამოსაკვლევად. მე სპეციალურად ვრთავ ნებას ყველა პირს, გულწრფელად უპასუხოს ყველა დასმულ შეკითხვას და უზრუნველყოს ყველა მოთხოვნილი ინფორმაციის გაცემა იმის მიუხედავად, არის თუ არა ეს ინფორმაცია პერსონალური ან კონფიდენციალური.

კონფიდენციალურობა

ვეთანხმები და ვადასტურებ ჩემი განაცხადის მხარდასაჭერად წარდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტების, ისევე როგორც საბჭოს მიერ გამოკვლევის შედეგად მოძიებული ინფორმაციის, ასევე სხვა პირებისა თუ დაწესებულებების მიერ საბჭოსათვის გადაცემული ინფორმაციის გასაჯაროებას.

შევსების ადგილი, თარიღი:

ხელმოწერა: